პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 120 (3604)

20 1968 წ. ივნისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ნორჩ აფროსანთა სკოლა

აფროსნობა მეტისმეტად პოპულარულია ქვეყნის ... სპორტის ამ სახეობაში 500-ზე მეტი მუშაა ჩაბმული. მათგან თითქმის ნახევარი თანრიგოსანია, 17 კი სპორტის ოსტატი.

ახლახან ქარხნის საწყლოსნო სადგურთან გაიხსნა ბავშვთა სპორტული სკოლა, სადაც გამოცდილი სპორტსმენები ნორჩებს აფროსნობაში ავარჯიშებენ.

სურათზე: ნორჩი აფროსნები საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ფოტო ე. ეტინგერისა (აას-ი).

ევროპის პირველობა 1968

## შლვაში შერჩებათ?

**ლენინგრადი,** 19 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ევროპული ძალოსნობის ეპიცენტრმა ამ დღეებში აქ გადმოინაცვლა. ეს გასაგებიცაა, რადგან კონტინენტის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში 18 ქვეყნის (ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, დანია, იტალია, ესპანეთი, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი, გფრ, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და სსრ კავშირი) 120-მდე უძლიერესი ძალოსანი ჩაებმება.

შეჯიბრებისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ 25 ივნისისთვის ბილეთები ჯერ კიდევ 10 ივნისამდე გაიყიდა. ამ დღეს მძიმე წონის ძალოსნები ასპარეზობენ და ყველას აინტერესებს, დაიბრუნებს თუ არა მსოფლიო რეკორდებს აჭიმვასა და აკვრაში ლ. ჟაბოტინსკი. სხვათა შორის, ერთი კორესპონდენტი ჟაბოტინსკის ჩააცივდა, რა შედეგების მოპოვებას აპირებთ ამ შეჯიბრებაშიო. ჟაბოტინსკიმ ბლოკნოტი გამოართვა და ჩაუწერა: 210, 180, 225 (სამივე მსოფლიო რეკორდია). წარმოიდგინეთ, როგორ განცვიფრდა ჟურნალისტი, როცა ეს ციფრები შეკრიბა — 615 კგ!

გუშინ ლენინგრადის საქალაქო სპორტკავშირის შენობაში მოეწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ო. სტეიტი (დიდი ბრიტანეთი), ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კ. ნაზაროვი (სსრ კავშირი), ევროპის ჩემპიონატის მთავარი განმკარგულებელი კ. არტემიევი (სსრ კავშირი), სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი დ. სმოლინი და სხვ.

სტეიტმა მადლობა გადაუხადა შეჯიბრების ორგანიზატორებს ჩემპიონატის შესანიშნავად მომზადებისთვის. შემდეგ მან ახსნა დიდი ბრიტანეთის ძლიერი გუნდის ჩამოუსვლელობა. ინგლისელი ძალოსნები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: გამოყოფილი ფულით მათ ან შვეიცარიაში — მაღალმთიანეთის პირობებში ორკვირიანი შეკრება უნდა გაემართათ, ან ლენინგრადს საასპარეზოდ ჩამოსულიყვნენ. ვინაიდან ახლა ინგლისელები უმთავრესად მეხიკოზე ფიქრობენ, მათ შვეიცარიაში წასვლა არჩიეს.

სსრ კავშირის ძალოსანთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ვორობიოვმა დაასახელა საბჭოთა გუნდის შემადგენლობა: ა. ვახონინი, დ. შანიძე, ვ. კურენცოვი, ვ. ბელიაევი, ბ. სელიცკი, ი. ტალტსი, ლ. ჟაბოტინსკი. როგორც ხედავთ, გუნდში მსუბუქი წონის ძალოსანი არ არის, სამაგიეროდ, საშუალო წონაში ორი სპორტსმენი გამოდის — ბელიაევი და სელიცკი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ორ ძალოსანს გამარჯვების დიდი შანსი აქვს, რადგან მათი ძირითადი მეტოქე უნგრელი დ. ვერეში ტრავმის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

პრეს-კონფერენციის შემდეგ ავტობუსში შანიძესთან და ვახონინთან ერთად მოვხვდი. ვახონინი საკმაოდ მხიარული კაცი ჩანს. მითხრა, დიმიტრი ისე შემიყვარდა, რომ მისი მიბაძვით ულვაშები მოვუშვი, თუ ჩემპიონი არ გავხდი, მეც მოვიპარსავ ულვაშს და დიმიტრისაც მოვაპარსვინებო.

ამაღამ დამთავრდება მჩატე წონის ძალოსანთა ასპარეზობა. ვახონინს უნგრელების ი. ფიოლდისა და რ. ნადის სახით საშიში მეტოქეები ჰყავს.

ა. მხეიძე.



## ორ სახეობაში

**კიევი, 18 ივნისი.** მოფარიკავეთა საკავშირო ტურნირში უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულნი ორ სახეობაში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ესპადრონისტებში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ე. ვინოკუროვმა. II-IV ადგილები გაიყვეს უ. მავლიხანოვმა, მ. რაკიტამ და ვ. ნაზლიმოვმა.

ასევე მწვავე პაექრობით აღინიშნა რაპირისტ ქალთა შეჯიბრება. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა მსოფლიო ჩემპიონმა ა. ზაბელინამ (მოსკოვი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მინსკელები ტ. სამუსენკო და ე. ნოვიკოვა.

## გუშინ... მოსკოვში

გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო ქუთაისის ტორპედოელები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 3:0.

## ჟურნალისტის საათი...

## ჭერჭერობით უზეიროდ

**ლეშნო, 19 ივნისი.** პლანერისტთა მსოფლიო ჩემპიონატში დამთავრდა შეჯიბრებები სტარტზე დაბრუნებით დანიშნულ პუნქტში სწრაფფრენაში.

ღია კლასის პლანერებში I-II ადგილები გაიყვეს ავსტრიელმა ჰ. ვედლმა და გფრ-ის წარმომადგენელმა ჰ. ჰუტმა. 182-კილომეტრიან დისტანციაზე მათ საათში საშუალოდ 89,2 კმ სისწრაფე განავითარეს (1000 ქულა). მსოფლიოს ჩემპიონი ი. ვრუბლევსკი (პოლონეთი), რომელიც ბოლო ვარჯიშში „მოლოდინის ტაქტიკას“ დაადგა (აფრენის შემდეგ იგი დიდხანს სრიალებდა ღრუბლებზე—მძლავრი აღმავალი საჰაერო ნაკადის „დაჭერას“ ცდილობდა), მხოლოდ 22-ე ადგილზე აღმოჩნდა. ასეთივე ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს საბჭოთა პლანერისტებმა ვ. ჩუვიკოვმა და ე. რუდენსკიმ, რომლებიც 23-ე და 26-ე ადგილებზე დარჩნენ.

ღია კლასში შეჯიბრების მრავალჰიდის ჯამში ლიდერობა ხელთ იგდო ვედლმა — 4050 ქულა. ვრუბლევსკიმ უკან დაიხია — ახლა იგი მეხუთეა. ჩუვიკოვი მე-16 ადგილზეა (3367 ქულა).

სტანდარტულ კლასში ყველას აჯობა ბელგიელმა ჰ. შტოუფმა. 170-კილომეტრიან დისტანციაზე საათში მისი საშუალო სისწრაფეა 69,1 კმ (1000 ქულა).

საბჭოთა პლანერისტები ი. კუზნეცოვი და ა. ზაიცევი უხეიროდ გამოვიდნენ. კუზნეცოვის პლანერის საშუალო სისწრაფე საათში სულ რაღაც 53,5 კმ იყო (31-ე ადგილი), ზაიცევი კი სტარტის შემდეგ 91-ე კილომეტრზე იძულებული გახდა დაშვებულიყო.

ამ კლასში კვლავინდებურად წინაა ამერიკელი ჯ. მოფატი. 6 ვარჯიშის შემდეგ კუზნეცოვი მე-20 ადგილზეა, ზაიცევი კი ორმოცდამეერთეზე.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ სახელგანთქმულ ჩეხოსლოვაკიელ ტანმოვარჯიშეს, მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ვერა ჩასლავსკას. დვირზე ვარჯიშს იგი რთული ჩამოხტომით აგვირგვინებს.

ჩასლავსკამ ამ დღეებშიც დაადასტურა თავისი ბრწყინვალე კლასი: ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში ისევ მოიპოვა უძლიერესის სახელი — 78,30 ქულა დააგროვა.

## საქვეყნოდ მოგვეთხრობს

## ვადები შეიცვალა

ფეხბურთში საკონტინენტთაშორისო თასის ორ მატჩში წლეულს, როგორც ცნობილია, ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) და ლათინური ამერიკის ქვეყნების ასეთივე პრიზის ლაურეატი „ესტუდიანტესი“ (არგენტინა).

სულ ახლახან გამოცხადდა, რომ შეცვლილია ამ მატჩების თარიღები: პირველი თამაში შედგება 25 სექტემბერს ბუენოს-აირესში, ხოლო მეორე — 16 ოქტომბერს მანჩესტერში.

## სხვადასხვა ამბები

● **ვილნიუსი.** 18 ივნისი. აქ სტარტი აიღო IV ტრადიციულმა საერთაშორისო ველორბოლამ, რომელსაც „მეგობრობა“ ჰქვია. საპატიო პრიზზე შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობს: 8 პოლონეთისა, 2 სსრ კავშირისა (ოლიმპიური და ახალგაზრდული), თითო — ჩეხოსლოვაკიისა, ესტონეთისა, ლიტვისა, ლატვიისა, საქართველოსი და უზბეკეთისა. I ეტაპის სტარტზე, რომელიც ლიტვის დედაქალაქის ირგვლივ მოეწყო (121 კმ), 96 სპორტსმენი გამოვიდა (6 კაცი თვითეული გუნდიდან). ეტაპზე გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენს ა. სტარკოვს ხვდა — 2:49.55. მეორე იყო პოლონელი მრბოლელი გ. შპაკი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა. ჩვენი ახალგაზრდული გუნდი მას სულ 10 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდნენ უზბეკეთის ველოსიპედისტები.

● **პარიზი,** 18 ივნისი. ჟორჟ ვალერეს წყალჯომარდობის სტადიონზე დიდი ინტერესი გამოიწვია წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებამ საფრანგეთისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის. პროგრამის ყველა სახეობაში წარმატება სტუმრებს ხვდათ წილად. ესაა, რომ კოშკიდან ხტომაში საბჭოთა ტრიოს — გ. ალექსეევას, ნ. ლობანოვასა და თ. სარქისოვას მეტოქენი არ ჰყავდათ და, ამდენად, მათი გამოსვლები საჩვენებელი ხასიათისა გამოდგა. ვაჟთა შორის ორი გამარჯვება იზეიმა ვ. ვასინმა — იგი უძლიერესი იყო ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში. ტრამპლინიდან ქალთა ხტომაში ყველას აჯობა თ. პოგოჟევამ — 420,30 ქულა. II ადგილი დაიკავა ე. ანოხინამ (393,15), ხოლო III — საფრანგეთის ჩემპიონმა ბ. ვანომ (357,45).

● **სინაი** (რუმინეთი), 19 ივნისი. აქ მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ტ. ზატულოვსკაია (სსრ კავშირი), ტ. შტადლერი (იუგოსლავია), ე. პოლიქრონიადე, მ. ტეოდორესკუ (ორივე — რუმინეთი) — 3-3 ქულა.

# სტარტზეა სიჭაბუკე

## სპარტაკიადის დღიური

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის მეექვსე დღეს ასპარეზობდნენ მაგიდის ჩოგბურთელები (პირადი პირველობა), მოკრივეები (სოხუმში), კლასიკური სტილის მოჭიდავენი, მოცურავენი და ჩოგბურთელები. გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ მძლეოსნები, წყალში მხტომელები და I ჯგუფის ფეხბურთელები.

მოცურავეთა შეჯიბრებას პირველი დღიდანვე სათავეში ჩაუდგა თბილისის ნაკრები, რომელსაც ჯერჯერობით 3308 ქულა აქვს. II ადგილზე არიან აჭარის მოცურავეები (2698 ქულა). III ადგილზე მყოფ ქუთაისელებს მხოლოდ 374 ქულა აქვთ. კომბინირებულ ესტაფეტაში I ადგილები დაიკავეს თბილისელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. II ადგილები აჭარის წარმომადგენლებს ხვდათ.

გაიმართა პირველი გუნდური შეხვედრები ჩოგბურთში. 7 კოლექტივი ორ ქვეჯგუფადაა გაყოფილი. I ქვეჯგუფში აჭარის ნაკრებმა დაამარცხა რუსთავის გუნდი (5:3), II ქვეჯგუფში აფხაზეთის წარმომადგენლებმა მოუგეს ფოთელებს (6:0), ქუთაისელებმა — გარდაბნელებს (6:0).

მაგიდის ჩოგბურთელთა პირად შეჯიბრებაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: გოგონათა ერთეულებში — რ. აკოფიანი (თბილისი), გოგონათა წყვილებში — მ. პაპუკაშვილი (თბილისი) და გ. ლევინა (ბათუმი), ჭაბუკთა ერთეულებში — გ. სარხოიანი (ბათუმი), ჭაბუკთა წყვილებში — ვ. ეფიმოვი და მ. უშანოვი (ორივე — თბილისი), შერეულ წყვილებში — გ. ლევინა და გ. სარხოიანი.

დღეს სპარტაკიადაში ჩაებმებიან მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლები, ხოლო კლასიკური სტილის მოჭიდავენი ბოლო ბრძოლებს გამართავენ.



ს უ რ ა თ ზ ე: რაპირისტ გოგონათა შეხვედრის მომენტი. იბრძვიან რუსთაველი ნ. ლაბაძე (მარცხნივ) და თბილისელი დ. ბუხრაშვილი. პირველმა სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო მეორემ — II საპრიზო ადგილი.

ფოტო ი. იუნაევისა.

## კარგი პირი უჩანს

ხელბურთელ გოგონათა I ქვეჯგუფში ქუთაისელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს: აჭარის ნაკრებთან — 15:3, ფოთელებთან — 19:11, აფხაზეთის ნაკრებთან — 16:7. II ქვეჯგუფში იმარჯვეს თბილისელებმა, რომლებმაც დაამარცხეს ლანჩხუთის (8:3), სამხრეთ ოსეთის (19:5) და რუსთავის (4:3) წარმომადგენლები.

ფინალური შეხვედრა თბილისელებმა ადვილად მოუგეს ქუთაისელებს — 16:6.

მატჩები დანარჩენი ადგილებისთვის ასე დამთავრდა: III-IV. ფოთი — ლანჩხუთი 9:5, V-VI. აფხაზეთი — რუსთავი 8:7, VII-VIII. სამხრეთ ოსეთი — აჭარა 6:2.

ჭაბუკთა შეჯიბრების ფინალშიც თბილისელები და ქუთაისელები გავიდნენ. ქვეჯგუფში დედაქალაქის სპორტსმენებმა დაამარცხეს სამხრეთ ოსეთის (16:8), ფოთისა (25:7) და რუსთავის (26:3) ხელბურთელები, ხოლო ქუთაისელებმა — აჭარისა (20:13) და აფხაზეთის (18:11) გუნდები, სამტრედიელებთან მატჩი კი ფრედ (14:14) დაამთავრეს.

ფინალური მატჩი თბილისელებმა 3 ბურთით (23:20) მოიგეს და სპარტაკიადის ჩემპიონობა გაინაღდეს.

დანარჩენი ადგილებისთვის ბრძოლა ასე დამთავრდა: III-IV. აჭარა — სამხრეთ ოსეთი 18:12, V-VI. ფოთი — აფხაზეთი 24:21, VII-VIII. სამტრედია — რუსთავი 20:15.

ჭაბუკთა შეჯიბრებებში იშვიათად თუ შეხვდებოდით მაღალ ხელბურთელს. გამონაკლისია მხოლოდ სამტრედიელი თ. ჭაფოძე, რომელმაც კარგი ფიზიკური მომზადებით და თამაშით ყველას ყურადღება მიიპყრო. შეიძლება კიდევ რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენის დასახელება. ესენი არიან თბილისელები ჯ. ბარამიძე, ვ. მალცევი, ვ. ბერიაშვილი, ა. სიმონიშვილი.

გოგონათა გუნდებში უფრო მეტია ფიზიკურად ძლიერი, მაღალი ტანის სპორტსმენი. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ე. როჟკოვა, მ. კუპრეიშვილი, დ. გეფერიძე (ყველა — ფოთი), ნ. ბიხეიშვილი, ც. კუნჭულია (ორივე — ლანჩხუთი), ნ. მიქაძე (ქუთაისი), ს. ახობაძე (თბილისი), ც. გიორგაძე (რუსთავი).

ერთი სიტყვით, გოგონათა ხელბურთს კარგი პირი უჩანს და თუ მათთან მონდომებით ვიმუშავებთ, საკავშირო სპარტაკიადისთვის ურიგო გუნდი როდი გვეყოლება.

## მოსალხენად საქმე არა გვაქვს

თბილისის კალათბურთელ გოგონათა გუნდმა ქვეჯგუფში დაამარცხა აჭარის (41:16), სამხრეთ ოსეთის (26:5) და სამტრედიის (43:29) კოლექტივები, ხოლო აფხაზეთის ნაკრებმა მოუგო ქუთაისის (28:19), რუსთავის (46:42) და ცხაკაიას (42:16) კალათბურთელებს.

თბილისისა და აფხაზეთის ნაკრები გუნდების ფინალური შეხვედრა საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლთა გამარჯვებით დამთავრდა — 45:26.

დანარჩენი ადგილებისთვის გამართული შეხვედრების შედეგები ასეთია: III-IV. აჭარა — რუსთავი 29:14, V-VI. სამტრედია — ქუთაისი 35:20, VII-VIII. ცხაკაია — სამხრეთ ოსეთი 38:21.

თბილისელმა ჭაბუკებმა თავიანთ ქვეჯგუფში დაამარცხეს ქუთაისის (42:16), სამხრეთ ოსეთის (52:32) და ჭიათურის (68:26) გუნდები, ხოლო მეორე ქვეჯგუფში აფხაზეთის ნაკრებმა მოუგეს აჭარის (68:49), რუსთავის (49:28) და ფოთის (55:48) კოლექტივებს.

ჭაბუკთა ფინალური მატჩი თბილისის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 57:44.

III ადგილისთვის ქუთაისის გუნდმა სძლია აჭარის ნაკრებს — 51:32. V ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ (48:48), დამატებით დროში რუსთაველებმა უკეთ ითამაშეს — 62:51. მატჩი VII ადგილისთვის (ფოთი — ჭიათურა) ფოთელების წარმატებით აღინიშნა — 31:22.

კალათბურთელთა ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ რაიონებში ძალიან ცოტა პერსპექტიული მოთამაშე გვყავს. კაცმა რომ თქვას, არც თბილისშია კარგად საქმე. გოგონათა გუნდის ძალა მხოლოდ სასტარტო ხუთეულში იგრძნობა, დანარჩენები კი შედარებით სუსტად თამაშობენ. იგივე მდგომარეობაა ჭაბუკთა გუნდებში. თუმცა აქ ყურადღება მიიპყრო აფხაზეთის ნაკრების წევრმა ა. სალაყაიამ. კარგი მოთამაშეა თბილისელი ნ. ჭეიშვილიც.

## დამაფიქრებელი ფაქტი

ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში 12 გუნდი მონაწილეობდა. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის და რუსთავის წარმომადგენლები I ჯგუფში ასპარეზობდნენ, ზუგდიდელი, ვანელი, წალენჯიხელი, სამტრედიელი, ორჯონიკიძელი და გორელი სპორტსმენები — მეორეში.

უთუოდ საყურადღებო ფაქტია ორჯონიკიძის რაიონის გუნდის მონაწილეობა. ამ მთაგორიან კუთხეში ველოსპორტის განვითარება აქაურ სპორტის მოყვარულთა დიდ ენთუზიაზმს უნდა მივწეროთ. სპარტაკიადაში პირველად ჩაებნენ ვანელი ველოსიპედისტებიც. ისინი, მართალია, სამგზავრო ველოსიპედებით გამოდიოდნენ სტარტზე, მაგრამ მაინც დიდი ბრძოლისუნარიანობით ანცვიფრებდნენ.

მეტად უთანაბრო იყო სპორტსმენთა საერთო მომზადების დონე. რიგიანი მანქანები მხოლოდ თბილისელებს ჰქონდათ. მართალია, საერთოდ ერთგვარი წინსვლა იგრძნობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დამაფიქრებელი ფაქტია, რომ საკავშირო სპარტაკიადისთვის მოსამზადებელ ნაკრებ გუნდში რაიონებიდან ვერც ერთი სპორტსმენი ვერ მოხვდა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ ყველა რბოლაში გამარჯვება მხოლოდ თბილისელ ოსტატობის კანდიდატებს ო. ბელთაძეს და გ. ბულბულოვს ხვდათ.

პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგი მხოლოდ 20 კმ-ზე დაყოფილი სტარტით რბოლაში იქნა ნაჩვენები. ამ შეჯიბრებაც 51 მოსწავლეში მხოლოდ ორმა მიაღწია — ბელთაძემ და ბულბულოვმა. ბულბულოვმა 29.09 აჩვენა და ჩემპიონობა მოიპოვა, ბელთაძე კი გამარჯვებულს 37 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა მათივე თანაგუნდელი ვ. ბოგომოლოვი — 30.26.

ბელთაძის და ბულბულოვის გამარჯვებით დამთავრდა 25 კმ-ზე გუნდური რბოლაც. გამარჯვებულთა დროა 35 წუთი და 25 წამი. თბილისელთა მეორე წყვილის (ბოგომოლოვი და ს. ვალუისკი) დროა 36.09. აჭარის სპორტსმენებს ვ. კუბლიაკოვს და ბ. კიკვიძეს მესამე შედეგი ჰქონდათ — 37.52.

50 კმ-ზე რბოლაში 50 ველოსიპედისტი ჩაება. 13 კმ-ის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს ბულბულოვმა, ბელთაძემ და აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელმა ვ. ოსინსკიმ. მისასვლელში ოსინსკი ლიდერებს ჩამორჩა და ფინიშთან გამართული მწვავე ბრძოლა ბელთაძის მცირე უპირატესობით დასრულდა: წამზომებმა ერთნაირი დრო (1:17.31) აჩვენეს. ოსინსკი გამარჯვებულთ 3 წუთითა და 21 წამით ჩამორჩა.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I ჯგუფი. 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა; II ჯგუფი. 1. ზუგდიდი, 2. წალენჯიხა, 3. გორი.

## სად ხართ, სამხრეთ ოსეთის მოფარიკავეებო?

პირად-გუნდური პირველობისთვის თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, ზესტაფონის, ჭიათურისა და წულუკიძის 170 ნორჩი მუშკეტერი იბრძოდა.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ მოფარიკავეთა ტექნიკური მომზადება საგრძნობლად ჩამოუვარდება შესაბამისი ასაკის მოფარიკავეთა ოსტატობის დონეს გასულ წლებში. მოასპარეზე გუნდების მწვრთნელები და მსაჯები ამას საბრძოლო იარაღებისა და ელექტროაპარატურის უქონლობით ხსნიან, თანაც, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა მორიგი საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ყურადღება არ ექცეოდა საშუალო და მცირე ასაკის მოფარიკავეთა მომზადებას.

სამხრეთ ოსეთის გუნდმა ასპარეზობას თავი აარიდა, რის მიზეზადაც განათლების საოლქო განყოფილების წარმომადგენლებმა სპორტული ფორმის უქონლობა დაასახელეს. უნდა აღინიშნოს, რომ 1967-68 სასწავლო წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთის განათლების განყოფილების მოფარიკავეთა ნაკრებ გუნდს თითქმის არც ერთ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში არ მიუღია მონაწილეობა და არც სპორტული ფორმის შეძენაში დახმარებისთვის მიუმართავს ვინმესთვის. ისლა დაგვრჩენია, რომ სპარტაკიადაში გუნდის გამოუცხადებლობა ოლქის განათლების განყოფილებისა და სპორტკავშირის უყურადღებობას მივაწეროთ.

### პირადი შეჯიბრების პრიზიორები

რაპირა. ვაჟები: 1954-55 წლებში დაბადებულნი — 1. რ. მანაგაძე (ქუთაისი), 2. მ. პეტრენკო (აჭარა), 3. ი. ლომიძე (რუსთავი). 1952-53 წ. წ. — 1. ნ. ლაბაძე (რუსთავი), 2. დ. ბუხრაშვილი (თბილისი), 3. ჟ. ჭეიშვილი (ქუთაისი).

ჭაბუკები: 1954-55 წ. წ. — 1. გ. პაპუაშვილი (თბილისი), 2. გ. ლომიძე (აჭარა), 3. გ. შეშველიანი (ქუთაისი); 1952-53 წ. წ. — 1. გ. გოგნიაშვილი, 2. ა. ლაღიძე (ორივე — თბილისი), 3. ი. ნოზაძე (რუსთავი).

ესპადრონი. 1954-55 წ. წ. — 1. დ. აივაზოვი, 2. რ. ზირაქაძე, 3. დ. ცქიტიშვილი (სამივე — თბილისი); 1952-53 წ. წ. — 1. რ. ლომინაძე (თბილისი), 2. ა. კიკნაძე (ზესტაფონი), 3. თ. ჭარია (თბილისი).

დაშნა. 1952-53 წ. წ. — 1. თ. თოფურიძე, 2. ი. ბერიძე (ორივე — თბილისი), 3. ა. ვალეტკინი (აჭარა).

### საპრიზო გუნდური შედეგები

1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. რუსთავი.

„ლელოს" ბრიგადა.

## ფიცარნაგზეა 14 გუნდი

სამტრედიაში, „ლოკომოტივის" სპორტულ დარბაზში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ტექნიკუმების 14 გუნდი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. აბულაძემ (წულუკიძე) — 210 კგ, თ. დევაძემ (ქედა) — 252,5, რ. შურღაიამ (ცხაკაია) — 267,5, ნ. გაბუნიამ (აჩიგვარა) — 272,5, ი. წიკლაურმა (კულაში) — 282,5, რ. გიორგაძემ (ზესტაფონი) — 300, ვ. ზარამიამ (აჩიგვარა) — 272,5, გ. მინაძემ (დიდი ჯიხაიში) — 215.

საერთო გუნდური პირველობა მოიგეს აჩიგვარის ტექნიკუმის ძალოსნებმა, II ადგილზე გავიდა წულუკიძის, ხოლო III — ზესტაფონის ტექნიკუმის გუნდი.

სულ შეჯიბრებაში ნაჩვენებია 29 სათანრიგო ნორმატივი, აქედან მეორე თანრიგის 2 და მესამე თანრიგის 27 შედეგი.

ასპარეზობა ორგანიზებულად ჩაატარა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ს. გელაძემ (თბილისი).

ჯ. ვაშაკიძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

## სპორტშიც ყოჩაღად არიან

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საქალაქო სპარტაკიადაში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, 19 ფიზკულტურული კოლექტივის 800-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო 7 სახეობა.

ტყვიის სროლაში, კალათბურთსა და ფრენბურთში (ვაჟები) ყველას რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ფიზკულტურელებმა აჯობეს. ფრენბურთელ და კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებებში იმარჯვეს საბიბლიოთეკო სასწავლებლის გუნდებმა. ჭადრაკსა და შაშში თავი ისახელეს კინოსტუდია „ქართული ფილმის" სპორტსმენებმა, მძლეოსნობაში — მხატვრული აღზრდის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელმა, მაგიდის ჩოგბურთში — ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის ნაკრებმა, რომელსაც გადაეცა თასი და ვიმპელი. II ადგილზე გავიდა მხატვრული აღზრდის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი, III — „ქართული ფილმის" კოლექტივი.

ნ. ჩაჩავა,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

## შეხვედრა სკოლის აღზრდილებთან

ამას წინათ ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყვეს ამ სკოლის აღზრდილებს — განთქმულ მოჭიდავეებს ვივი გაგუნაშვილს, ზაქარია გუტაშვილს, ოთარ და ანზორ ქიბროწაშვილებს.

შეხვედრა გახსნა სკოლის დირექტორმა ს. დავითაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნინო მაზიაშვილი, სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თ. ურბნელაშვილი, პიონერული რაზმეულის თავმჯდომარე ბ. ბიძინაშვილი და სხვ.

პიონერებმა სტუმრებს ალისფერი ყელსახვევები გაუკეთეს — საპატიო პიონერებად აირჩიეს.

მოჭიდავეების რთულ სპორტულ გზაზე ილაპარაკა მათმა უფროსმა მწვრთნელმა გიორგი ჩაფურიშვილმა. შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური შეჯიბრებების მონაწილე ა. ქიბროწაშვილი, რომელმაც შეკრებილთ უამბო, თუ როგორ ემზადება მომავალი შეჯიბრებებისთვის და დიდი მადლობა გადაუხადა გულთბილი მასპინძლობისათვის. შეხვედრის მონაწილეებს მადლობა გადაუხადეს საქართველოს ჩემპიონებმა ქართულ ჭიდაობაში გ. გაგუნაშვილმა, ზ. გუტაშვილმა და თ. ქიბროწაშვილმა.

სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

გ. ტერტერაშვილი.
ახმეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეკორდამდე — 100 ქულა

იური დიაჩკოვმა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის მზადება ინტენსიურად დაიწყო, მაგრამ ფეხის ტრავმის გამო გადამწყვეტ ბრძოლაში ფინიშამდე ვერ მივიდა. მაშინ ბევრს ეგონა, რომ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი დიდხანს ვერ აღიდგენდა სპორტულ ფორმას, მაგრამ სულ სხვას ფიქრობდნენ სპორტსმენი და მისი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი. იური მკურნალობდა და ვარჯიშობდა, ამასთან, მამა-შვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ტექნიკის სრულყოფას იმ სახეობებში, სადაც სპორტსმენს მეტი შეეძლო.

დღე დღეს მისდევდა. მწვრთნელი შედეგებით კმაყოფილი იყო, მაგრამ მოწაფეს ჯერჯერობით მაინც არ უშვებდა სარბიელზე, — სპორტსმენს ტურნირში მეტი ჯაფა ხვდება და შიშობდა, ტრავმის შედეგმა კვლავ არ იჩინოს თავი.

დადგა შეჯიბრების დღეც. 16-17 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ტარდებოდა. იური ამ ტურნირში უკონკურსოდ ჩაება. მას მეტოქეობას უწევდა ბ. დიაჩკოვის მეორე აღსაზრდელი, სპარტაკელი ოთარ ყიფიანი.

საქართველოს ორი საუკეთესო ათჭიდელის დუელს ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა. ყიფიანმა საბოლოოდ 6834 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. იურიმ...

სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენმა თავისი საუკეთესო შედეგი 1966 წლის 5-6 ოქტომბერს აჩვენა ლენინაკანში გამართულ ტურნირში. მაშინ მან 7836 ქულა მოაგროვა, უძლიერესის სახელი მოიპოვა და საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარა. ახლა დიაჩკოვმა 43 ქულით გააუმჯობესა ეს მაჩვენებელი — 7879 ქულა მოაგროვა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია სსრ კავშირში და მხოლოდ 100 ქულით ჩამოუვარდება ესტონელი რ. აუნის საკავშირო რეკორდს (მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი გდრ-ის სპორტსმენს მ. ტიდკეს ეკუთვნის — 7904 ქულა).

იურიმ საერთაშორისო სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა და 79 ქულით გადააჭარბა ნორმატივს, რომელიც მეხიკოს ოლიმპიადის საგზურს იძლევა. 28-30 ივნისს კიევში ათჭიდელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება და თუ ამ შეჯიბრებაშიც ასეთივე წარმატება მოიპოვა, ვფიქრობთ, დიაჩკოვი მეხიკოს ოლიმპიადაშიც გამოვა.

შევადაროთ დიაჩკოვის მაჩვენებლები ამ ასპარეზობაში და წინა რესპუბლიკური რეკორდის დამყარების დროს. ათიდან ხუთ სახეობაში შედეგები გაზრდილია, ერთი შედეგი არ შეცვლილა, ოთხ სახეობაში კი მაჩვენებლები გაუარესდა. **პირველი დღე:** 100 მეტრზე რბენაში დიაჩკოვმა ამ ტურნირში 10,5 წამი აჩვენა, ძველი რეკორდის დამყარებისას — 11,1, სიგრძეზე ხტომაში — 740 (760), ბირთვის კვრაში — 15,70 (15,22), სიმაღლეზე ხტომაში — 180 (190), 400 მეტრზე რბენაში — 51,2 (50,4); ამით სპორტსმენმა 4017 ქულა მოაგროვა. **მეორე დღე:** 110 მეტრზე თარჯრბენი — 14,6 (14,8), ბადროს ტყორცნა—47,20 (43,88), ჭოკით ხტომა — 440 (470), შუბის ტყორცნა — 59,40 (52,62), 1500 მეტრზე რბენა — 4.46,6 (4.46,6).

ო. ბელაშვილი.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ი. დიაჩკოვი.

ფოტო ავტორისა.

# განტოლება ოთხი... ცნობილით

**მოსკოვი, 19 ივნისი.** როგორც იქნა, დადგინდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და ბ. ლარსენის (დანია) ნახევარფინალური მატჩის დაწყების ზუსტი თარიღი — 5 ივლისი.

ამრიგად, ლარსენ — სპასკი — 5 ივლისი, შვეციის ქალაქი მალმე. მეორე ნახევარფინალი: მ. ტალი — ვ. კორჩნოი (ორივე — სსრ კავშირი) — 25 ივნისი, მოსკოვი.

საქდესის საჭადრაკო მიმომხილველი, საერთაშორისო არბიტრი ი. რობლინი წერს:

შორს არაა ის დღე, როცა მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი ავა სცენაზე, რათა მეორედ, ისე, როგორც სამი წლის წინათ, შეხვდეს ახალ მეტოქეს, საჭადრაკო ტახტის პრეტენდენტს. ვინ იქნება იგი ოთხი დიდოსტატიდან — ვ. კორჩნოი, ბ. ლარსენი, ბ. სპასკი თუ მ. ტალი? სცადე და ამოხსენი განტოლება ოთხი... ცნობილით. ჩემი აზრით, გასათვალისწინებელია ბრძოლის როგორც წმინდა სპორტული, ისე შემოქმედებით-ფსიქოლოგიური მხარეც, რომელშიც დიდოსტატთა ბევრი გამარჯვებისა და წაგების საიდუმლოება იმალება. ვფიქრობ, რომ „მატჩამდელი“ უპირატესობა (ქულებში) არ გამოდგება მომავალი ბრძოლის დაახლოებითი შედეგების გამოსაცნობად. ალიოხინს, მაგალითად, კაპაბლანკასთვის მატჩში (1927 წ.) გამარჯვებამდე ერთი პარტიაც არ მოეგო.

აი, რატომაა, რომ ახლა სპეციალისტები უპირატესად ოთხივე პრეტენდენტის თამაშის თავისებურებებს აანალიზებენ.

უდავოა, რომ ლარსენმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბოლოდროინდელი ხუთი დიდი ტურნირის შოგებით.

„ლარსენი, როგორც მოჭადრაკე-პრაქტიკოსი, ძალიან ძლიერია. მისი ნიჭი უფრო ტაქტიკური სტილისაა, ვიდრე სტრატეგიულისა. იგი სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, იშვიათად ცდება და პარტიის ყველა სტადიაში თავს იმედიანად გრძნობს“. ასე მიაჩნია მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ბოტვინიკს. მსოფლიოს მეორე ექს-ჩემპიონის ვ. სმისლოვის აზრით, დანიელის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია თვითმყოფადობა, უშიშროება და სათამაშო სიტუაციის უეცარი შეცვლისას ორიენტირების ხელოვნება.

მაგრამ ლარსენს, უეჭველია, ნახევარფინალურ მატჩში ელის ყველაზე საპასუხისმგებლო გამოცდა მის საჭადრაკო კარიერაში. სპასკი უნივერსალური სტილის მოჭადრაკეა და ძნელი წარმოსადგენია, რომელ სფეროში — ტაქტიკასა თუ სტრატეგიაში, დებიუტსა თუ ენდშპილში შეიძლება იყოს ლარსენზე სუსტი. უფრო პირიქით. თუ ლარსენი, როგორც იტყვიან, „საკუთარ თავს“ არ აჯობებს, გაიმარჯვებს სპასკი.

განსაკუთრებულად პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი „მიზანსცენებით“ აღინიშნება ტალ — კორჩნოის ნახევარფინალური მატჩი. ალბათ, შეუძლებელია დაასახელო სხვა ორი დიდოსტატი, რომლებიც დაჯილდოებული არიან მათებური ბრწყინვალე კომბინაციური ნიჭით და ასე განსხვავდებიან საჭადრაკო პოზიციის გაგებით. ტალთან — ეს შემოქმედებითი რისკია, რომელიც ბეწვის ხიდზე ბრძოლას მოგვაგონებს; კორჩნოისთან — ეს რაციონალური მეთოდია, რომლის ფესვები შეიძლება ნახო ლასკერისა და ალიოხინის საუკეთესო პარტიებში.

— ვცდილობ კლასიკურ სტილში ვითამაშო, — აღნიშნავდა კორჩნოი. — თავს ვარიდებ ნაძალადევ ზომებს, რომლებიც პოზიციის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ტალისგან განსხვავებით, რომელიც კომბინაციისადმი სიყვარულით მეტოქეს თავს ახვევს ტაქტიკურ ბრძოლას, მე ტაქტიკოსი მაშინ ვხდები, როცა მაიძულებენ მძიმე დაცვა ვაწარმოო. და სიამოვნებით ვთამაშობ მომქანცველ ენდშპილს...

დიახ, ალბათ, კორჩნოის არ ჰყავს ტოლი შეუპოვრობაში. ამას წინათ ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში ლენინგრადელმა თავისი გეგმის შესასრულებლად ნ. პადევსკისთან (ბულგარეთი) 105 სვლა გააკეთა. აი, რომელ სფეროში ელის ტალს მთავარი საშიშროება ნახევარფინალურ მატჩში.

მაგრამ იქნებ სადებიუტო სისტემების დიდი მცოდნე ტალი რიგის ყურეს წყნარ კუთხეში ამზადებს „საიდუმლო იარაღს“, რომელსაც მოულოდნელად გამოიყენებს პარტიის დაწყებით სტადიაში. რა ვუყოთ, მით უფრო მწვავედ ჩაივლის საბჭოთა დიდოსტატების ამაღელვებელი დავა.

## სპორტული კალეიდოსკოპი

## რაიონული გაზეთის თასზე

აფხაზეთის დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი ფეხბურთში რაიონულ გაზეთ „კომუნისტური შრომის“ თასზე. თამაშობდნენ რუსთაველის სახელობისა და „აბჟაყვის“ კოლმეურნეობათა გუნდები.

თასის მფლობელის გამოსარკვევად საჭირო გახდა დამატებითი მატჩის მოწყობა (პირველი დამთავრდა ფრედ — 3:3). გამარჯვება წილად ხვდათ რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებს — 2:1.

ზ. ჯალალონია.

(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

# ყველას მსაჯული მეხიკო იქნება

დადგა მძლეოსნური ზაფხული, შფოთიანი და საჭაფი, მისადგომი კიდევ უფრო შფოთიანი ოლიმპიური შემოდგომისა, როცა მექსიკის დედაქალაქის ცის ქვეშ ოთხწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოიყრიან თავს მსოფლიოს საუკეთესო მორბენლები, მხტომელები და მტყორცნელები.

იოლი წარმოსადგენია, რამდენი კითხვა, აზრი, წინადადება უჩნდებათ დღეს სპორტის მოყვარულებს.

ტასს-ის კორესპონდენტი სწორედ ამასთან დაკავშირებით ესაუბრება სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარეს პ. სტეპანენკოს.

— პირველ ყოვლისა მინდა გაგაცნოთ რამდენიმე საინტერესო ციფრი, — დაიწყო საუბარი სტეპანენკომ. — ეს ციფრები ადასტურებს, რა სისწრაფით მაღლდებოდა ბოლო წლებში მძლეოსანთა შედეგები გლობალური მასშტაბით. შევადაროთ ორი წელი — 1954 და 1965. სამხტომი. პირველ შემთხვევაში 16 მეტრს იქით მსოფლიოში მხოლოდ 2 კაცი ხტებოდა, 1965 წელს — უკვე 102. სიმაღლე. საწყისად ავიღოთ 206 სმ. შესაბამისი ციფრები — 3 და 106! 14 წლის წინათ 200 მეტრს 21 წამში და უფრო სწრაფად მხოლოდ 4 სპრინტერი ფარავდა, 1965 წელს — 101. ბირთვის კვრაში 17,30 მეტრს მაშინ 4 სპორტსმენი აჩვენებდა, ახლა — 93.

ასეთი კოლოსალური პროგრესი შეინიშნება თითქმის ყველა სახეობაში. ბუნებრივია, ეს დამახასიათებელია საბჭოთა კავშირისთვისაც. ჩვენ რამდენიმეჯერ გადავხედეთ საკლასიფიკაციო ნორმატივებს ზრდის თვალსაზრისით, დავაწესეთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება, მივიღეთ სხვა ღონისძიებებიც, რათა, როგორც იტყვიან, არ ჩამოვრჩენოდით საუკუნეს, გაგვესწრო კიდევ მისთვის. ყველაზე სერიოზული ორგანიზაციულ-მეთოდური დასკვნები ტოკიოში წარუმატებლობის შემდეგ გაკეთდა. კერძოდ, სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის მომზადების პროგრამა რამდენიმე წლით ადრე დამუშავდა. ტრადიციად იქცა ზამთრის შეჯიბრებები, იმატა საერთაშორისო შეხვედრების რიცხვმა, გამდიდრდა იუნიორთა კალენდარი.

● ესე იგი, „მექსიკურ მომავალს“ ოპტიმისტურად უნდა შევცქეროდეთ?

— ოპტიმიზმი განსაზღვრული დოზით შეიძლება სასარგებლოც იყოს, უზომო კი დამღუპველია. წინასწარ არაფერს ვიტყვი და ვფიქრობ, ამას ეროვნული ფედერაციის ვერც ერთი ხელმძღვანელი ვერ გაბედავს. ჩვენ ვიცით, რა ძალას წარმოადგენენ აშშ-ს მძლეოსნები. ეჭვი არ არის, მედლებისა და ქულების სოლიდურ რაოდენობაზე პრეტენზიის გამოცხადება შეუძლიათ გდრ-ის, პოლონეთის, გფრ-ის, ავსტრალიის, ცალკეულ სახეობებში კი ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც. განსაკუთრებულ სიურპრიზებს კი აფრიკელებისგან უნდა ველოდეთ. აი, მართლაც ამოუწურავი რეზერვების კონტინენტი. აიღეთ, მაგალითად, კენიელები, რომლებიც ასე ხშირად გვაიძულებენ მათზე ლაპარაკს. ისეთმა მორბენლებმა, როგორიც არიან უილიამ კიპრუგუტი, კიპჩოგე კეინო, ნაფტალი ტემუ, დამსახურებულად მოიპოვეს მსოფლიო დიდება. პრაქტიკულად, ყოველ დისტანციაზე — 400-დან 10 ათას მეტრამდე — კენიელებს თამამად შეუძლიათ ოლიმპიური ოქროსთვის ბრძოლა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა მათი მორბენალი შუამთიანეთის მკვიდრია, მეხიკოს პირობებში კი ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

● ახლა, თუ შეიძლება, ჩვენს ოლიმპიელებზე, მათ მზადებაზე გვიამბეთ.

— ჯერჯერობით მხოლოდ ოლიმპიური გუნდის კანდიდატებზე შეიძლება ლაპარაკი, ისინი კი ბევრნი არიან. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენი გუნდი განსაკუთრებით მკაცრი შერჩევის შემდეგ დაკომპლექტდება. დღეს შემიძლია დავასახელო მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებსაც თითქმის ნაღდი შანსი აქვთ მეხიკოს ასპარეზობაში მონაწილეობისა (თუ, რა თქმა უნდა, არ მოხდა რაიმე გაუთვალისწინებელი, მაგალითად, ტრავმა). ვაჟებიდან ესენი, როგორც ჩანს, იქნებიან იგორ ტერ-ოვანესიანი და ტინუ ლეპიკი (სიგრძეზე ხტომა), რომუალდ კლიმი (უროს ტყორცნა), იანის ლუსისი (შუბის ტყორცნა), ვიქტორ სანეევი და ნიკოლოზ დუდკინი (სამხტომი), ვალერი სკვორცოვი და ვალენტინ გავრილოვი (სიმაღლეზე ხტომა), გენადი ხლისტოვი და ლეონიდ მიკიტენკო (სტაიერული რბენა), გენადი ბლიზნეცოვი (ჭოკით ხტომა). მე განზრახ შემოვიფარგლე მხოლოდ რამდენიმე გვარით, რადგან ვაკანსიები ყველასთვის გახსნილია. ავიღოთ, მაგალითად, შუბის მტყორცნელი ქალები. ფორმას იბრუნებს 1960 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ელვირა ოზოლინა. საწვრთნელ მეცადინეობებზე კარგ შედეგებს აჩვენებს მსოფლიოს რეკორდსმენი ელენა გორჩაკოვა. მეხიკოს საგზურზე პრეტენზიას აცხადებენ ვალენტინა პოპოვა, ლიდია იასინსკაია, მარია მოსკალენკო და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მტყორცნელი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გალინა ზიბინა. ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების (1952 წ.) ჩემპიონი ყველა შემდგომ ოლიმპიადაში მონაწილეობდა და დიდი შანსი აქვს მეხიკოში ასპარეზობისაც. ეს ოლიმპიადა მეხუთე იქნება მის სპორტულ ცხოვრებაში. ვგონებ, მეორე ასეთი მაგალითი მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიამ არ იცის.

ორიოდე სიტყვა, როგორც იტყვიან, გეოგრაფიაზე. ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა შორის თითქმის 60 ქალაქის წარმომადგენლები არიან. ეს ძალიან სასიხარულო ფაქტი აშკარად მეტყველებს, რომ ჩვენში უკვე აღარ არის ეგრეთ წოდებულ მძლეოსნურ ცენტრებად და პერიფერიებად დაყოფა. მაგრამ მეორეს მხრივ საწყენია, რომ ამ სიაში წარმოდგენილი არ არიან უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, მოლდავეთი, სომხეთი, ყირგიზეთი (ამასთან, ორი უკანასკნელი შუამთიანეთის ქვეყანაა). ძალზე მოკრძალებულია აზერბაიჯანის წვლილი (ერთადერთი კანდიდატი — სიმაღლეზე მხტომელი ნინა ბრინცევა). ეს ყოველივე სპეციალურ ანალიზსა და აუცილებელ დასკვნებს მოითხოვს.

● როგორ წარიმართება მძლეოსნური წინაოლიმპიური ზაფხული?

— ივნისი და ივლისი საერთაშორისო შეჯიბრებებით იქნება დაკავებული. ოლიმპიური გუნდის კანდიდატები თავის ძალას შეამოწმებენ როგორც უცხოურ სტარტებში (პოლონეთის კუსოჩინსკის მემორიალის და ჩეხოსლოვაკიის როშიცკის მემორიალის ჩათვლით), ისე შინ გამართულ ასპარეზობებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სსრ კავშირი — გდრ — პოლონეთის მატჩი (ლენინგრადი, 13-14 ივლისი), ზნამენსკების მემორიალი (იქვე, 19-21 ივლისს) და მორბენალთა შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზზე, რაც 22-23 ივნისს ჩატარდება.

ფედერაციამ ზნამენსკების მემორიალსა და „პრავდის“ პრიზზე შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის მოწვევა გაგზავნა პოლონეთში, გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ინგლისში, საფრანგეთში, შვეციაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კუბაში, გფრ-ში, ავსტრიაში, ავსტრალიაში, კენიაში, იუგოსლავიაში და სხვა ქვეყნებში. მოწვევაში აღნიშნულია, სახელდობრ რომელი მძლეოსნის ჩამოსვლა გაგვიხარდებოდა ამა თუ იმ ქვეყნიდან. გასაგებია, რომ მოვიწვიეთ საუკეთესონი. რამდენიმე ფედერაციისგან უკვე მივიღეთ დადებითი პასუხი.

მაგრამ წინაოლიმპიური ზაფხულის გვირგვინი უთუოდ სსრ კავშირის პირადი პირველობა იქნება. იგი 11-18 აგვისტოს გაიმართება სომხეთის სტადიონებზე, შუამთიანეთის პირობებში, თუმცა სიმაღლე იქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მექსიკის დედაქალაქში. შემდეგ ოლიმპიელები (კანდიდატები კი არა, ოლიმპიელები) ეგრეთ წოდებულ შემაჯამებელ შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას, დაახლოებით 22-23 სექტემბერს კი ჩვენი გუნდი მეხიკოს გაფრინდება. 20 დღე, ესაა ალბათ, მინიმუმი, რაც აკლიმატიზაციას სჭირდება.

● ბოლო შეკითხვა. თქვენი აზრით, დამყარდება თუ არა მეხიკოში მსოფლიო რეკორდები?

— მსოფლიო რეკორდების დამყარება სავსებით შესაძლებელია ეგრეთ წოდებულ სწრაფოსნულ-ძალისმიერ სახეობებში — ხტომაში, ტყორცნაში, სპრინტშიც, ვინაიდან მოკლე მანძილებზე მორბენლებს ჟანგბადის ნაკლებობის საფრთხე არ ემუქრებათ. გაცილებით უფრო გაუჭირდებათ სტაიერებსა და საშუალო მანძილებზე მორბენლებს. მაგრამ აქ ბევრია დამოკიდებული მათს ინდივიდუალურ თავისებურებებზე: ერთნი შედარებით იოლად ეგუებიან შუამთიანეთის პირობებს, მეორენი უფრო ძნელად. ამტკიცებენ, რომ ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, სახელგანთქმული ავსტრალიელი სტაიერი რონალდ კლარკი.

თუმცა, მოდით, ნუ ვიმკითხავებთ, ყველას მსაჯული მეხიკო იქნება.



საერთაშორისო ფოსტიდან

# სიცოცხლე სესხად

სიტყვა სპორტი იმთავითვე ითვლებოდა ადამიანის სხეულის, ძალის, მოქნილობის, ჯანმრთელობის წრთობის სიმბოლოდ. მაშ რატომაა, რომ ამ ბოლო ხანს დასავლეთის პრესაში სულ უფრო გახშირდა სამწუხარო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ამახინჯებს სპორტი ადამიანის სხეულს, ახალი დანაკლისისა და ათლეტების სიკვდილის მაუწყებელი ცნობები? რა თქმა უნდა, ნათელია, რომ სერიოზულად დაშავება სპორტის არც ერთ სახეობაში არაა გამორიცხული. აღარას ვამბობთ მთამსვლელებზე და სამთოსათხილამურო სპორტზე, მოუხერხებელი ნახტომის დროს შეიძლება ჩოგბურთელმაც მოიტეხოს ფეხი.

მაგრამ ახლა ამ ტრავმებზე როდია ლაპარაკი. იმპერიალიზმის ქვეყნებში, სადაც სპორტი მთლიანად ოქროს კერპის სამსახურშია, სადაც სპორტსმენზე ფული ბატონობს, სპორტი კარგავს თავის თავდაპირველ ფუნქციებს, ვეღარას არგებს ადამიანის ჯანმრთელობას. იგი გულმოყირჭებული მაყურებლების იოლ გასართობად, სისხლისმღვრელ სანახაობად იქცევა. ეს შეიძლება ითქვას მთელ პროფესიულ სპორტზე.

მკითხველთა შორის დიდი პოპულარობა მოიხვეჭა დასავლეთგერმანელი მწერლის ერიჰ მარია რემარკის წიგნმა „სიცოცხლე სესხად“, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამოიცა. გავიხსენოთ ამ წიგნის მთავარი გმირები. ესენი არიან ჭლექით ავადმყოფი ლილიანი, რომელიც თითქმის ყოველ ახალ დღეს სესხულობს მოახლოებული და გარდუვალი სიკვდილისგან, და კლერფე — ჯან-ღონით სავსე კაცი, პროფესიონალი ავტომრბოლელი. სიცოცხლე კლერფესაც ნასესხები აქვს, რადგან მან თავი ავტორბოლების მენეჯერებს, ფირმების მეპატრონეებს მიჰყიდა, რადგან დიდ პრიზზე გამართულ ყოველ შეჯიბრებაში, ყოველ ვირაჟზე მას სიკვდილი ემუქრება. და ეს სიცოცხლით სავსე კაცი იღუპება უფრო ადრეც კი, ვიდრე მომაკვდავი ლილიანი. კლერფე გამოგონილი, მაგრამ რეალურ ნიადაგზე შექმნილი გმირია. დღეს ჩვენ გიამბობთ ნამდვილ კლერფეებზე, მათზე, ვინც მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში დაიღუპა. ესენი არიან იტალიელი სპორტსმენები (3 მრბოლელი), რომლებიც კაზერტეს რბოლაში დაიხოცნენ, არგენტინელი კარლოს მარტინი („მარ-დელ-პლატის დიდი პრიზი“), ფრანგი ჟაკ რობი ვებერი (ლე-მანი), იტალიელი ლორენცო ვანდინი („მონაკოს დიდი პრიზი“), ინგლისელი ვალი პიტარი (მონცის პრიზი), ფრანგი ჟან-კლოდ ვერნასკონი, გერმანელი გიუნტერ კლასი, ჰოლანდიელი ვიმლაოსი, მსოფლიოს ჩემპიონი, ინგლისელი ჯიმ კლარკი და ბევრი სხვა — სულ 50 მრბოლელზე მეტი.

და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ საავტომობილო ფირმები, რომლებიც არაჩვეულებრივ სისწრაფეს მოითხოვენ, იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევენ სპორტსმენთა დაცვას, უსაფრთხოებას. უკეთესი რეკლამისთვის და უფრო მეტი შემოსავლისთვის იქმნება განსაკუთრებით რთული ტრასები, როგორიცაა, მაგალითად, სებრინგის (აშშ), ნიურბურგრინგის (დასავლეთ ბერლინი), იტალიური ტარგა ფლორიოს (რემარკის რომანის გმირი სწორედ აქ იღუპება), ლე-მანის (საფრანგეთი) სარბიელი. ლე-მანში ამ რამდენიმე წლის წინ მოხდა ყველაზე საშინელი კატასტროფა ავტოსპორტის ისტორიაში, რომელმაც 100 კაცზე მეტი იმსხვერპლა.

ამას წინათ პროფესიონალ ავტომრბოლელთა ფრანგულმა კავშირმა, რომელიც სპორტსმენთა ინტერესების დასაცავად შეიქმნა, განცხადება გამოაქვეყნა. ამ განცხადებაში ნათქვამია: ლე-მანის ტრასა იმდენად გაართულეს, რომ აქ შეჯიბრება იშვიათად თუ მთავრდება კატასტროფისა და უბედური შემთხვევების გარეშე. ჩვენ ამ სიკვდილის ტრასაზე ასპარეზობის აკრძალვას მოვითხოვთო.

თავისი კლერფეები ჰყავს პროფესიულ კრივსაც. აი, უკანასკნელი მაგალითი. 22 წლის ნიჭიერმა იაპონელმა მოკრივემ იოშიო კუბომ სახელის მოხვეჭა ვერც კი მოასწრო. მენეჯერებს არ აინტერესებდათ ახალგაზრდა სპორტსმენი, — მისგან დიდი შემოსავლის იმედი არ ჰქონდათ. ბოლოსდაბოლოს იოშიოს ძლიერ და გამოცდილ მეტოქესთან შიგეო ნირასავასთან ბრძოლა შესთავაზეს. მანამდე ნირასავა სტუმრად ჩასულმა პროფესიონალმა დაამარცხა და ახლა მას „ბრწყინვალე გამარჯვება“ სჭირდებოდა, რეპუტაციის აღსადგენად. იოშიო ამ საქმისთვის სავსებით გამოსადეგი იყო.

რა თქმა უნდა, სხვა დროს კუბო არ იქნებოდა ასეთი ორთაბრძოლის თანახმა, მაგრამ ახლა მას არჩევანი არ ჰქონდა. იოშიო ტოკიოს რინგზე გამოვიდა და უკვე პირველ რაუნდში ორჯერ დაეცა. მსაჯები და მენეჯერები ხედავდნენ, რომ ძალები აშკარად უთანაბრო იყო, მაგრამ ბრძოლის შეწყვეტა აზრადაც არავის მოსვლია. ასე გავიდა შვიდი რაუნდი. კუბოს სახე სისხლიან ხორცის ნაჭრად იქცა, მერვე რაუნდში იგი უგონოდ დაემხო ბაგირზე, მაგრამ გამხეცებული მოწინააღმდეგე ისევ ურტყამდა.

კუბო საავადმყოფომდე ცოცხალი მიიყვანეს, მაგრამ იქ მალე გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით. იაპონიის საზოგადოებრიობა ახლა კვლავ მოითხოვს პროფესიული კრივის აკრძალვას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოლო ხუთ წელიწადში პროფესიულმა კრივმა იაპონიაში ექვსი კაცი შეიწირა. კუბო მეშვიდე იყო...

ფული, ფული, ფული. ფულის სიყვარულით იგონებენ სპორტის სპეციალურ, განსაკუთრებით „გამალიზიანებელ“ სახეობებს. ავილოთ, თუნდაც, ამერიკული ფეხბურთი. აი, როგორაა აღწერილი იგი ჟურნალ „შტერნში“ (დასავლეთ გერმანია) დაბეჭდილ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „მსოფლიოს ყველაზე ძვირფასი ძვლები“: „ორივე გუნდის წევრები პირველყოფილი ძალითა და მარტორქის მძვინვარებით მიიწევდნენ ერთმანეთისკენ. სპეციალური ჩაფხუტებით დაფარული თავები ბასრი რქებივით წინ გაეშვირათ. როცა ისინი ჩხარუნითა და ყრუ ხმაურით დაეჯახნენ ერთმანეთს, მაყურებლები აღრიალდნენ უმაღლესი კმაყოფილებისა და ექსტაზის სტადიაში.

მაგრამ, როცა მოთამაშეთა მორგვი დაიშალა, ერთ-ერთი გლადიატორი გაფითრებული და უმოძრაო ეგდო ბალახზე. მსოფლიო კლასის ამერიკელი სპრინტერის სტოუნ ჯონსონის (1960 წლის ოლიმპიურ თამაშებში იგი მეხუთე იყო 200 მეტრზე რბენაში) კარიერა კისრის მალების სასიკვდილო დაზიანებით დამთავრდა“.

ჟურნალს მოჰყავს შემაძრწუნებელი ციფრები: 1930 წლიდან ამერიკის ფეხბურთის მინდვრებზე 600-ზე მეტი კაცი დაიღუპა. ახლა რამდენი ახალგაზრდა, ჯანიანი ჭაბუკი დამახინჯდა სამუდამოდ!

კალიფორნიაში (აშშ) „სანიუილ ტრეკის“ ავტოდრომზე ყოველწლიურად ტარდება ავტორბოლა ნორჩებისა, რომელთა ასაკი 4-8 წელია. ამასთან, ავტომობილების სისწრაფე საათში 110 კილომეტრს აღწევს. ინგლისში ჯიმი გილსი მაყურებელს უჩვენებს „ნახტომს ცოცხალ კიბეზე“. ოცი კაცი ტრამპლინთან გვერდი-გვერდ წვება მიწაზე, ჯიმი კი მოტოციკლით ახტება მათ. ავსტრიაში სამთომოთხილამურე ერიჰ ფელბერმაიერი თვითმფრინავიდან თხილამურებით ხტომაში ოხტატდება. ბოლო ნახტომის დროს იგი კარგად ვერ დაეშვა და მძიმედ დაშავდა. საფრანგეთში „სპორტსმენები“ უფსკრულზე გაკიდებულ მავთულებზე დადიან ავტომობილებით...

სწორედ პროფესიულმა სპორტმა წარმოშვა ცნება დოპინგი. პრიზის მოპოვებისთვის არაფერს ერიდებიან, ჯანმრთელობის გამანადგურებელ ნარკოტიკებსაც კი. მარტო 1967 წელს დოპინგით დაიღუპნენ ველოსიპედისტები — ინგლისელი სიმპსონი და ესპანელი ურიონა. დამახინჯდა და ნარკომანად იქცა შესანიშნავი ფრანგი ველოსიპედისტი როჟე რივიერი. ნარკოტიკული შხამი ახლა დასავლეთის ქვეყნების სამოყვარულო სპორტსაც წამლავს. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა უხდება.

ოქროს კერპის დამღუპველი გავლენის უამრავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ერთი ცხადია: გამორჩენისა და შემოსავლიანი რეკლამისკენ სწრაფვა წარმოშობს სპორტს, რომელსაც მოაქვს სიკვდილი, რომელიც ნერგავს ძალადობას, შობს სპორტსმენებს, რომელთათვისაც მთელი არსებობა სხვა არარაა, თუ არა სიცოცხლე სესხად.

ა. გურკოვი.

# ლამაზი და გამბედავი

ჰოლანდიაში ამბობენ, ყველაზე გამბედავი და ლამაზი გოგონები ჰარლემში იბადებიანო. სიმართლეა ეს თუ მხოლოდ ამ ქალაქის მცხოვრებთა ბაქიობა, ძნელია დაადგინო. ყოველ შემთხვევაში, ლიან ენგემანი ჰარლემში დაიბადა. ლამაზია იგი? ფოტოსურათია ჭეშმარიტების მოწმე. მამაცი რომ არის, ამას ავტომრბოლელის შედეგები ადასტურებს.

ლიან ენგემანი 22 წლისაა. ავტომობილო სპორტით რამდენიმე წლის წინ დაინტერესდა, თავდაპირველად, როგორც ჰოლანდიის ყველაზე პოპულარული საავტომობილო შეჯიბრების — „ტულიპების რბოლის“ გულშემატკივარი. მანქანის საჭეს პირველად 1966 წელს მიუჯდა. ჩაფხუტმა და სათვალემ დაფარა ახალბედა სპორტსმენის სილამაზე და ლიანს ბევრი ურჩევდა რბოლის ტრასა ეკრანზე გაეცვალა. ჰოლანდიელმა ქალიშვილმა უარი თქვა შეთავაზებულ წინადადებებზე და ერთგული დარჩა ადრინდელი განზრახვისა — მოიხვეჭოს დიდება ასეთ სახიფათო სპორტში.

ენგემანი მონაწილეობს ევროპასა და ამერიკაში გამართულ ავტორბოლებში. ახლახან სებრინგის (აშშ) ტრასაზე მისი მანქანა ცნობილ ავსტრალიელ პოლ ჰოკინსის ავტომობილს დაეჯახა. ავარია სახიფათო არ ყოფილა, მაგრამ აღშფოთებულმა ავსტრალიელმა ჩემპიონმა განაცხადა, რომ სტარტზე ქალთან ერთად აღარასოდეს გავა.

— დედაკაცი ავტოტრასაზე სასიკვდილო საფრთხეა! — განაცხადა ქალების მოძულე მრბოლელმა.

• • •

სურათებზე: ლიან ენგემანი დასვენებისა და რბოლის დროს.



# მას გამარჯვება სწყუროდა

ლონდონი, 18 ივნისი. ერთეულთა ტრადიციულ ტრანსატლანტიკურ შეჯიბრებაში დღეს კვლავ „საგანგებო შემთხვევა“ მოხდა. ფრანგი სპორტსმენის ჟან დე კატის ნავს უზარმაზარი ტალღა დაატყდა თავს, ანძა გაუტეხა და საჭე მწყობრიდან გამოიყვანა. სპორტსმენმა, რომელსაც ნახევარი გზა გავლილი ჰქონდა და ინგლისის ნაპირებს 1500 საზღვაო მილით იყო დაშორებული, ეთერში გაგზავნა ხიფათის მაუწყებელი სიგნალები — „სოს“! მის დასახმარებლად სპეციალური თვითმფრინავი გაგზავნეს. ამ რაიონში მყოფი ყველა გემის მეზღვაურები ეძებენ უილბლო აფროსანს, რომელიც რამდენიმე დღის წინ შეჯიბრების მოგებას ფიქრობდა.

როგორც ცნობილია, რბოლამ 1 ივნისს აიღო სტარტი პლიმუტში. დღემდე შეჯიბრებას უკვე ხუთი სპორტსმენი გამოაკლდა. ვინ ლიდერობს ახლა, ეს რბოლის ორგანიზატორებმაც არ იციან. უმრავლესობის აზრით, კვლავ ინგლისელი ჯ. უილიამსი წინ.



▲ ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატი 15-30 აგვისტოს გამართოს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში.

▲ მეხიკოს ოლიმპიადისთვის სამზადისში ბულგარელი მოკრივეები ანკარას ეწვივნენ და თურქეთის ნაკრებთან გამართეს მატჩი, რომელიც ფრედ დამთავრდა — 5:5.

▲ ინგლისელმა კ. კარტერმა 0,1 წამით გააუმჯობესა ევროპის რეკორდი 880 იარდზე რბენაში, რომელიც ჯ. ბუტლერს ეკუთვნოდა. კარტერის შედეგია 1.47,2.

▲ მექსიკის საერთაშორისო მარათონი მოიგო მასპინძელმა პ. გარიდომ — 2:30.49.6. ინგლისელი ჯონსტონი, რომელიც მეორე იყო, გამარჯვებულს 3 წუთითა და 8,8 წამით ჩამორჩა.

▲ ვარნა. აქ გამართულ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა დაამარცხა ბულგარეთის გუნდი — 92:59 (44:24).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04130